# კროს -ფანტაზია- № 1(9)

ფასი 40 თეთრი | საკროსვორდო სამყაროს სიახლე! | 1-10 მაისი, 1996 წელი


## საკროსვორდო ბუმი ანუ "სახეზე გატყობთ კმაყოფილებას"

ბატონებო!

დღეს საქართველოში "კროსბუმი" მძვინვარებს.!

პრაქტიკულად არ გამოდის არც ერთი გაზეთი, რომლის "მშვენებადაც" კროსვორდი არ იყოს წარმოდგენილი. ეს, ერთ დროს ნახევრადსერიოზული "ბურჟუაზიული" ატრიბუტი, ახლა სერიოზულ ფინანსურ ბურჯად იქცა ჩვენი პრესისათვის. მართალია, "ეგრეთწოდებულობის" ირონიულობამდე დახული პრესა, როგორც თვითმყოფადი ფენომენი, ამჟამად პათოლოგიურ კატაკლიზმებს განიცდის (სწორედ რომ პათოლოგიური მრავალრიცხოვნების გამო), მაგრამ, როგორც ცხონებულმა ბრუნომ აიკვიატა — "ის მაინც ბრუნავსო", პრესაც ბრუნავს და მისი ბრუნვის მთავარ საწვავს, თურმე ნუ იტყვით და, კროსვორდი წარმოადგენს (?). დღეს კარგი კროსვორდისტი ისევეა "სანთლით საძებარი", როგორც "კომუნისტობისას" — ნიჭიერი და მეხოტბე პოეტი ერთ კაცში გაერთიანებული. ახლა კი ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის შესახებ, რომელიც გაზეთების უშუალო გამყიდველთა შორის მოვაწყვეთ: თურმე ერთი "პოპულარული" გაზეთის 60-70% იყიდება არა მისი ინფორმაციული ოპუსების, არამედ მისივე სტილიზებული "შავ-თეთრი ჯაჭვების" გამო; თურმე მკითხველი აღარ ტყუვდება ფსევდოსენსაციური, ულტრაოპოზიციურ-არაპროფესიონალური რეპორტაჟებით და ყიდულობს იმ გაზეთს, სადაც "ეროვნული" კროსვორდია გამოქვეყნებული (მადლობა ღმერთს, კროსვორდის თარგმნა რუსული ენიდან შეუძლებელია). ამიტომაც სრულიად კანონზომიერად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ქალაქში უხვად გამოჩნდა სპეციალიზირებული საკროსვორდო "ფარატინები" — სიტყვა "კროს"-ის ნაირგვარი ინტერპრეტაციითა და გარეგნულ-შინაარსობრივი ვარიაციებით. სხვათა შორის, პირველი ასეთი "ფარატინა" 1994 წლის ივლისში ჩვენს მიერ გამოიცა "კროსშოუს" სახელით, მაგრამ, "კროსბუმის" ნაკლებინტენსიურობის გამო მაშინ ამ გამოცემას ერთჯერადობის ხვედრი არგუნა ბედმა. ახლა კი... "კროს-ფანტაზია", "კროს-ინფო", "კროს-ტოტო", "კროსვორდები", "4 საკონკურსო კროსვორდი", "რადიო სიტი", "საპოვნელა", "ფაიზალი", "სირაქლემა" და ნაირგვარი კრებულები. რა თქმა უნდა, ასეთი სიმრავლე კროსვორდის პარადოქსული ფენომენისთვისაც კი ანომალური მოვლენაა, მაგრამ ნუთუ ასეთივე ანომალია არ არის, როცა გამოდის 10-12 დასახელების მხოლოდ საფეხბურთო გაზეთი, ათიოდე "ავტო" გაზეთი, გადმოქართულებული იდენტური "სენსაციების" შემცველი დაიჯესტები და "N" რაოდენობის პოლიტიკური გაზეთი აბსოლუტურად ერთგვარი საინფორმაციო ბაზით? ახლა კი ჩვენი გენიალური ანდაზით ("წყალნი წავლენ და წამოვლენ...") დავიმშვიდოთ თავი და განვაცხადოთ:

**"სახეზე გატყობთ კმაყოფილებას, ვიწყებთ მეორე განყოფილებას".**

1. რომის იმპერატორი, რომელსაც გვირგვინზე მეტად თეატრალური სცენა უყვარდა; 2. ხომალდი, რომელსაც სამიარუსიანი ნიჩბები ჰქონდა ძველ საბერძნეთში; 3. ირანის კასპიისპირა პორტი; 4. ის, რასაც გრ.რობაქიძემ "მცველები" მიუჩინა; 5. "სადაური" ეგონა ჰიტლერს საკუთარი თავი? 6. ილიას ლექსი; 7, ინგლისელი "მიხო"; 8. ცალი "საყურე"; 9. საბრძოლო ფრთა; 10. დავით აღმაშენებლის მეგობარი რომანში; 11. ბუნების დაუმორჩილებელი მოვლენა; 12. ხილი, რომელსაც ნაირგვარი კონფიგურაცია აქვს; 13. "ჭეშმარიტი" — თანამედროვე ჟარგონზე; 14. სქესის არქონა ბიოლოგთა "ენაზე"; 15. რა არის სიცოცხლეზე მეტი პოლონელი ანტიფაშისტი — კინემატოგრაფისტების აზრით?




პასუხები ჩაწერეთ საათის ისრის მიმართულებით, მონიშნული ექვსკუთხედიდან)

## სალალობო

## რემინისცენციები

*(ლათ. Reminiscentia — მოვლენა, რომელიც სხვა მოვლენის გახსნებას იწვევს)*




### "A" წახნაგი

**ზემოთა მიმართულებით:** 3. ბეჭდვითი პროდუქციის ერთობლიობა, რაც "კომუნისტობისას" იყო ხუთიდან ათამდე, "დემოკრატობისას" კი სამასიდან ოთხასამდე და Дальше!; 8. რომელი ხილი "არ ევასება" ერთ დიდყურას? 9. ხელის კონდიციონერი; 10. ოთხი ქართველი ძმაგოჯის მეხუთე ძმაგოჯი (სიზმარას გახსენებით); 11. რამირუსა და სერენას "მურმანის ეკალი"; 12. "ბუბლიკის" ეროვნული სახელი; 14. მარაგი, რომელიც ველარ გვათქმევინებს — "Мои года, мое богатство"; 16. ბატონი ბენდერის ერთ-ერთი "მამა"; 17. "ბებერი ქალბატონის" მოფერებითი სახელი; 19. თუ გსურთ ამ სიტყვის ამოცნობა, იღიღინეთ "გორამდე"; 21. "ზ"-ზე დაწყებული მშვენიერი სახელი სწორედ "ამ" სუფიქსით მახინჯდება; 24. თუ არ იციან სახელი, სწორედ "ასე" მოგმართავენ (იმერეთში); 25. ამ ძვირფას ქვას რატომღაც ეშმაკის ინვენტარად მიიჩნევენ; 26. ბოდიშს კი გიხდით, გაზეთის გამყიდველებო, მაგრამ "ეს" მეტსახელი ჩვენგან დამოუკიდებლად შეგერქვათ; 27. ტოლმის "სამშობლოს" დედაქალაქი; 28. კოლეგიალობის ფაქტორი ტალღებსა და აბესალომს შორის; 29. იაკუბოვიჩის "საღადაო" ცნება; 30. ექვსი შინაბერას "ქვრივი" მასპინძელი.

**ქვემოთა მიმართულებით:** 1. რობიზონისთვის — მკაცრი რეალობა, სანჩოსთვის — ტკბილი ოცნება; 2. თუ გსურთ ამ სიტყვის ამოცნობა, დაითვალეთ: იმან ერთი, ამან ორი და ა.შ. 4. ისამარის და ალეხანდროს კინოვეფხისტყაოსანი; 5. ბრეჟნევის ეპოქის პარტიული "კაშჩეი" (НО СМЕРТНЫЙ); 6. თეატრალური აჯაფსანდალი (ცეკვაც, სიმღერაც, სიცილიც, ხითხითიც); 7. რუსული "პაკაზუხა" — ფრანგულად (ქართულ ჟარგონზე); 12. ისევ დიდყურა (თანაც ჰიჰყინა), რომელსაც "ძაან ევასება" მულტფილმები; 13. გურული "კუტუზოვი"; 14. ერთხელ სცადეს "ასეთი" თბილისელისთვის "შრიალა" ეწოდებინათ; 15. კლინტონი, ბესინჯერი, ჯექსონი, კემპბელი... ზოგად-მეტსახელ-ევროპულად; 18. თუ ათლარიანი გაქვთ, დახედეთ და ამოიკითხეთ ეს სიტყვა; 19. ყველაზე "მატრაბაზი" შოკოლადი (სახ. ბრ. ნიშნის გარეშე); 20. სხვისი დაწერილი სიტყვების ლაპარაკით (7-10 ლარი) ხელფასის "მშოვნელი" ხელოვანი; 21. გამოღმით შევარდნაძეა, გაღმით — ის (ასევე თავისი ქვეყნის პრეზიდენტი); 22. ორპირისაგან წარმომდგარი პირველი მეთორმეტედი; 23. ფილოსოფოსი, რომელიც არაყს და ღვინოს გვახსენებს (ერთ ლექსში).

### "B" წახნაგი

**ქვემოთა მიმართულებით:** 3. ლენცის "განუყრელი" კოლეგა"; 8. როგორ "ეფერებოდნენ" ამერიკელები გორბაჩოვს; 9. ფრინველი, რომლის ჯოგშიაც გაერია ერთი ინდოელი; 10. "დინამო", "ფახთაქორი", "სპარტაკი"... პარლამენტი; 11. მაიმუნების უფლებათა დამცველი ჩარლზი; 12. ადგილი, სადაც "მეთერთმეტე" გადაძვრა (რაჭული სიმღერის თანახმად); 14. მუჰამედი, აბო, ჰარუნ-არ-რაშიდი, ავთანდილი და ა.შ. 16. ქართულში — მისამღერი, ინდურში — მდინარე; 17. ქართული რეკლამების ყველაზე პოპულარული სიტყვა; 19. ბატონი ჯუზეპეს აფრიკელი "ქალიშვილი"; 21. აშშ-ს ექს-პრეზიდენტი, რომელიც დედამისის "უკანონო შვილი" იყო; 24. ამ ქალაქში ძლივსღა ეცინებათ ("დემოკრატიის" გამო), მაგრამ მაინც იცინიან (ტრადიციის გამო); 25. 40704 : 256 - 57; 26. N10-ის (იხილე ზემოთ) მსგავსი გვარის მქონე სოციალ-დემოკრატი; 27. მომღიმარი ქალი, რომელიც ორი სახელითაა ცნობილი; 28. ჩაიკოვსკის ერთ-ერთი "შვილობილი" გედი; 29. მიხო (ქარ.) — მიშა (რუს) — მაიკლ (ინგლ)... ფრანგ? 30. რა აქვთ მოწამლული ინგლისელ ძროხებს? (ბავშვურად).

**შვეულად:** 1. ნარკოტიკი, რომელიც ყოველთვის "არ მოიტანს" წყალს; 2. ჩვენი ძმა და მეგობარი 26 საუკუნის მანძილზე; 4. ძველბერძენი მომღერალი, რომელიც "ოსი" იყო; 5. "დონ" ოსურად წყალია, ამიტომაც ჰქვია მდ. ტემზაზე მდებარე ქალაქს "ეს" სახელი; 6. 8-13 წლის ბიჭების "ზოგადი" სახელი; 7. წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანემდე ყველაფერს ეს ტომები "ფლობდნენ" (ოსური მეცნიერების მტკიცებით); 12. წვნიანი, რომელიც იმსახურებს ეპითეტს "ХОРОШО"; 13. კაცი, რომელიც მთელ საქართველოს აკავშირებს ერთმანეთთან; 14. სად უყვარს მსახიობს დიდრონი ასოებით გამოჩენა; 15. რა კვდება ბოლოს? 18. "ედუარდის" მსგავსი სახელი; 19. რა გაფუჭდა ყველაზე მეტად "ნათელი მომავლისაკენ" სავალ გზაზე? 20. აკეთებს — გააკეთებს, აკონსენსუსებს — გააკონსენსუსებს და ა.შ. (გაიხსენეთ გრამატიკის გაკვეთილები); 21. რომელი "ნამდვილის" დაბრუნება გვახარა TBC TV-მ? 22. რომელი "მეცნიერება" ცრუობდა 100%-ით? 23. ნიუ-იორკის მთავარი "სატასაო" ქუჩა.

### "C" წახნაგი



**ზემოთა მიმართულებით:** 3. კაცის საწყისი "თანამდებობა", სანამ "რქოსანის" ტიტულს მიიღებს; 8. მდინარე, რომელშიც "პიკასოს ბიჭები" ხტებიან; 9. ღრეობის "მეცნიერული" განმარტება; 10. კიდევ კარგი, ეს ცალთვალა დევი ნაცარქექიას არსად შემოეყარა; 11. შეცდომა მესამე ნაბიჯთან დაკავშირებით; 12. ყველაზე იაფი და პოპულარული ქსოვილი; 14. კახეთის სარკინიგზო "ცენტრი"; 16. გარეკახეთის "მისისიპი" (მისურის გარეშე); 17. კუნძული და სიგარეტი; 19. სიმბოლური ვალუტა; 21. ბიჭი — წიე, გოგო — ოსური, ძმა — ? 24. პერსეპოლისი — ხაიამი — ნავთობი... ლოგიკა? 25. კინოქალაქი; 26. ფირმა, რომელმაც თავისი სიტყვა შეასრულა, მაგრამ დენი მაინც არ არის; 27, "ბრუნავსო" — თავისი გვარითაც ამტკიცებდა, თუმცა ჩვენ მისი სახელი გვაინტერესებს; 28. რა ჰქონდათ ბრეგვაძეებს "საკუთარი"? 29. ახლა კვიპროსს "კიპრს" ეძახიან და ამ კუნძულსაც უმახინჯებენ სახელს; 30. "ყოჩალი" პოლიციელი "დათა თუთაშხიაში".

**შვეულად:** 1. ყველაზე "ცნობილი" ქუთაისელი"; 2. "კოკა-კოლას" მიერ აღთქმული ქვეყანა; 4. ნიძლავის ჟარგონული სახეობა; 5. კინომსახიობიც და პრეზიდენტიც; 6. ადგილი, საიდანაც ბელადებს ხელის ქნევა ევალებათ; 7. საბჭოთა ბავშვების ერთ-ერთი პირველი "პროფესია"; 12. ის, რასაც საბჭოთა ბავშვები მეტალურგებს უგროვებდნენ; 13. ის, რაც "ნიუთი" ცენტრია, მის გარეშე კი — პერიფერია; 14. უფასო შხაპი; 15. მომთაბარეთა "ციხე-დარბაზი"; 18. კაცი, რომელიც "მოჩხუბრებს" აშველებს "ყუთში"; 19. ფრიდრიხი (სხვას ვერაფერს გეტყვით); 20. უკეთესობის მანიშნებელი "წამოტივტივებული" ძველი სიტყვა; 21. იმას ცნობა უნდა, თორემ შეიძლება აკაციის ყვავილით მოგატყუონ; 22. "ა, მხეცი" — სწორედ ასე უწოდებენ ჩუკოტკელები თავის დედა-მდინარეს სხვა სინონიმით; 23. ბროწეული და აფეთქება... აქ რაღა ლოგიკა არის.



## ფანტაზიორები?!

პეტრე პირველს ყველა იცნობთ, როგორც ძლევამოსილ იმპერატორს. სხვათა შორის, ერთი ასეთი ამბავი მსმენია: ქუთაისის თეატრში იყო მსახიობი, გვარად "პირველი", რომლისთვისაც ერთ თაყვანისმცემელს უკითხავს — "თქვენ პეტრე პირველის მოგვარე რომ ხართ, საქართველოში როდის ჩამოსახლდითო?" — თუმცა ეს კურიოზული ფანტაზიაა და ისევ ისტორიის მივხედოთ:

პეტრე პირველს ერთი უცნაური ჰობი ჰქონია, იგი დაკვირვებას აწარმოებდა მის კარზე შემოკრებილი ჯუჯების (ლილიპუტების) ცხოვრებაზე, აქორწინებდა კიდეც მათ ერთმანეთზე და სურდა თავის სამფლობელოში მხოლოდ ტანდაბალი ადამიანების ახალი სახესხვაობა ეხილა, მაგრამ ყოველი ამგვარი შეუღლება, მისდა სამწუხაროდ, სიკვდილით მთავრდებოდა; სამაგიეროდ ნაყოფი გამოიღო პეტრეს მეორე ექსპერიმენტმა, როცა მან ნება დართო თავის ერთ გიგანტ ქვეშევრდომს ორმეტრიან ფინელ ქალზე ექორწინა და მათ სამ შვილსაც ინტერესით აკვირდებოდა, თუმცა ასეთი სელექციის შედეგად დიდმა იმპერატორმა სამმეტრიანი რუსების მიღება მაინც ვერ შეძლო...

პეტრეს ახირებულ ქმედებათა შორის ერთი ფაქტიცაა ცნობილი: მან სპეციალური კანონი გამოსცა, რითაც კრძალავდა შეურაცხად და გონებაჩლუნგ არსებათა ქორწინებას, რადგან მის იმპერიაში კატასტროფული სისწრაფით მრავლდებოდნენ (მეფის აზრით!) სულელები...

ალბათ, ადვილი მისახვედრია, რომ ამ კანონმა შედეგი არ გამოიღო და... სამწუხაროდ, ზუსტ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით იმის შესახებ, თუ პეტრეს კანონის შეუსრულებლობამ რა რაოდენობით შემოინახა რუსეთში არაგონებაჩლუნგი ადამიანები; სამაგიეროდ, შემიძლია გაცნობოთ, რომ დღეს მსოფლიოს პოლიტიკური და ფინანსური წრეები მხოლოდ ჟირინოვსკის დასაშოშმინებლად 9 მილიარდი დოლარის "დახმარებას" აძლევენ რუსეთის მთავრობას.

**რეზიუმე: ხალხის ზომა-წონასა და ცხოვრების წესს ღთის ნყალობით, სულ სხვა ფენომენი განაგებს და არა რაიმე დეკრეტი თუ კანონი — გინდ პეტრეს დანერილი იყოს ის და გინდ პავლესი!**

## (კიდო) ამოცანები

(აბა ბავშვებო!)

1. ხუთი ცალი ორიანით მიიღეთ 15
2. ოთხი ოთხიანით მიიღეთ 14641
3. დაწერეთ თანამიმდევრობით 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. ახლა ისე დასვით მათ შორის ორი მინუსი და ერთი პლიუსი, რომ მიიღოთ 100.

## მუტანტები?!

*დღეს ძალზე პოპულარულია ეს თემა: იპოვიან ვინმე ნაირგვარ "ისტობა" გამოვლილ კაცს, მიაკერებენ მას ასეთივე ნაირგვარობის "კრატობას" და ასტეხენ ვაი-უშველებელს ამ პიროვნების გარშემო... თუ ღმერთი გწამთ, დაეხსენით მათ! — ისინი ხომ უფრო მეტად ექცევიან "ყურადღების ცენტრში" და უფრო შემგუებელნი ხდებიან გარემოს მიმართ?! აი, ერთი მაგალითი: მეცნიერება იცნობს შავ პეპელა-მუტანტებს (ლათ. mutatio — ცვლილება, გადასხვაფერება, გადაგვარება), რომლებიც, იბადებოდნენ რა თავის თეთრ თანამოძმეებს შორის, ძალზე მალე იღუპებოდნენ, რადგან მუდამ ფრინველთა ნადავლად ეწერათ გახდომა თავისი სიშავის გამო ("რა ვუყოთ რომ შავი ვარ, დამწვარი ვარ მზისაგან..." კ/ფ "სიყვარული ყველას უნდა"), უფრო სწორად იმის გამო, რომ ბეღურები თუ ნიბლიები მათ ადვილად ამჩნევდნენ თეთრი პეპლების ფონზე. მაგრამ აი, ერთ რეგიონში, როცა იქ გაიყვანეს რკინიგზა და ააშენეს რაღაც "შავფილტვებიანი" (უკაცრავად — ფილტრებიანი) ქარხანა, არემარე მთლად გაიმჭვარტლა და ამჯერად უკვე თეთრი პეპლები აღმოჩნდნენ ნისკარტალესილი ფრთოსნების თვალთახედვის ცენტრში; შედეგი — შავმა პეპლებმა გამრავლება დაიწყეს?!*

**დასკვნა, როგორც ჩანს, მუტანტებს თავისი საკუთარი დანიშნულება გააჩნიათ ამ ცისქვეშეთში?!**



## სატანისტები?!

ბოროტი ჯადოსნები და ალქაჯები დაემუქრნენ შეერთებული შტატების მთავრობას, რომ შავი მაგიის მეშვეობით ეროვნული კომპიუტერული ქსელის Internet-ის ბლოკირებას მოახდენენ... როგორც ამბობენ, სატანისტთა ეს "ორდენი" ექვსას სრულუნარიან ჯადოქარს მოიცავს...

გაზეთი "თურქიშ დეილი"

ნეტავი რა ეშველება ამდენ მოცლილს?!

## პარაზიტები?!

**"კომპიუტერულ ვირუსს" მრავალი ჩვენთაგანი იცნობს; დღემდე ფიქრობდნენ, რომ ეს მხოლოდ პროგრამისტებისა და კომპიუტერის მომხმარებელთა თავსატეხი პრობლემაა და არავითარი ზიანი არ მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მაგრამ ვირუსოლოგების უკანასკნელმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ეს ასე არ არის. სამეცნიერო წრეებში მოფუსფუსე ადამიანთა მტკიცებით, ვირუსით ინფიცირებისთვის სულაც არ არის აუცილებელი კომპიუტერთან ხანგრძლივი ურთიერთობა და "დასაავადებლად" სრულიად საკმარისია მონიტორის, კლავიატურის ან "თაგუნას" ერთი ხელის შეხება. სპეციალისტითა თქმით, განსაკუთრებით მავნეა "ვირუსი", რომელსაც "MBDF" ეწოდება და რომელიც თავის ტკივილის, კუჭის აშლილობისა და გულის უკმარისობის მიზეზად გვევლინება. ყველაზე უსიამოვნო კი ის არის, რომ ამ დაავადებას არანაირი წამალი არ შველის და მისი განკურნება მხოლოდ ელექტროდენის მეშვეობით ხერხდება...**

**"მეგაპოლის-ექსპრესი", №6**

**ჩვენი კომენტარი: გირჩევთ, კომპიუტერთან კონტაქტი იქონიოთ იმ პრესტიჟულ უბნებში, სადაც ელექტროენერგიის "ყოფნა" სჭარბობს "არყოფნას", რათა საშუალება მოგეცეთ საჭირო სამკურნალო პროფილაქტიკის ჩატარებისა!**

## ზმანებები?!

**რუსულ პრესაში ასეთ ფაქტს წავაწყდით: ვინმე მაშას (თუნდაც გლაშას) სტუმრად წასვლა გადაუწყვეტია სადღაც, ტამბოვში თუ რიაზანში და წასულა კიდეც! — იქ ხომ მისი და, დიდი ხნის უნახავი გლაშა (თუ მაშა) ცხოვრობდა...**

**ჰოდა, იმ ტამბოვში თუ რიაზანში ჩასულ მაშა-გლაშას (ან პირიქით) გზის შემოკლება გადაუწყვეტია და სასაფლაოზე გავლით მოკლეზე მოუჭრია; ეს გზა მისთვის იმითაც გამხდარა მოსახერხებელი, რომ სასაფლაოს კართან თავისი დის მეზობელი ჭაბუკი სერიოჟა შეხვედრია და მასლაათ-მასლაათით გადასულან "ყოფილი კომუნიზმის" ქუჩაზე, სადაც სერიოჟა მხედრული ჟესტით დამშვიდობებია ქალს... დიახ, ეს ჩვეულებრივი, ყოფითი სცენა გახლავთ და აღარც არასოდეს გაახსენდებოდა მაშას (იყოს მაშა!), რომ არა დიდი ხნის უნახავ დასთან ჭორაობისას მეხივით გავარდნილი ფაქტი: ის ჭაბუკი მეზობელი სერიოჟა, ცხრა დღის წინ დაუსაფლავებიათ და მაშას დიდი ხნის უნახავ დას (გლაშას!) თავად ჩაუცმევია მიცვალებული სერიოჟასათვის კოსტუმი... გაზეთში ისიც ეწერა, რომ ერთ-ერთ დას გული წასვლია, მაგრამ მაშა იყო ეს თუ გლაშა, ვერ გეტყვით?!**

**P.S. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მცირეოდენი სიმსუბუქით მოვახდინეთ ამ ფაქტის პერიფრაზირება, ჩვენ მთლიანად ვენდობით "იმ" ავტორიტეტულ გაზეთს და თითქმის გვჯერა კიდეც აღწერილი შემთხვევის**

## შეცდომები?!

გვსურს უნებლიე შეცდომა შევუსწოროთ გაზეთ "ნოეს" მთ. რედაქტორს, რომლის ერთ-ერთ შარშანდელ სტატიას, სამწუხაროდ, მხოლოდ წელს შემთხვევით გავეცანით. იგი ამტკიცებს, რომ რუსთველისეული "გულანშარო" სწორედ ის ღვთაებრივი და აღთქმული სამყაროა, რომელსაც ეს რედაქტორი კარგა ხანია საქართველოს მიწისქვეშეთში დაეძებს და ამ სიტყვას ასე განმარტავს: "გულ" (გული, ანუ ცენტრი) და "ანშარ" (ზებუნებრივი — შუმერული მითოლოგიის თანახმად). ჩვენ "ერეკლესთან" დაკავშირებული "ხატოვანი" ფრაზის გარეშე განვმარტავთ, რომ ეს არის სპარსული კომპოზიტი — "გულ" (ყვავილი), "ან" (მრავლობითის სუფიქსი), "შარ" (შაჰრ — ქალაქი) — და ნიშნავს სწორედ "ამას" — "ყვავილების ქვეყანა" (ჩოქვით შემოვიარე... და ა.შ.).

თუ არ გჯერათ, თავად რუსთველს მოუსმინეთ:

"ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი, ფერითა მეტად ბევრითა..."
(1061-ე სტროფი)

მინაწერი: ამ საკითხთან დაკავშირებით, უფრო დეტალურ მოსაზრებებს უახლოეს ხანში შემოგთავაზებთ.

## "ქალები?!"

გთავაზობთ ფრანგი კინოვარსკვლავის, სოფი მარსოს აღშფოთებულ განცხადებას:

"ქვეყნიერება სექსმა გადარია; უკანალების გარდა, აღარაფერი ჩანს (ეკრანზე). ჩვენ რაღაც კანონებით გვაბაიბურებენ, რომ მკერდი უნდა იყოს "ამხელა", თეძო უნდა იყოს "იმხელა" და, თუ არ არის, სულელად გთვლიან! მომბეზრდა ეს ანატომია... დღეს უკვე მამაკაცთა სტრიპტიზსაც აჩვენებენ ტელეეკრანზე?! — ეს კი რაღაც სიმდაბლეა!"

## ფოკუსი

"გამოიჭირეთ" ვინმე, ვისაც არა აქვს წაკითხული "კროსფანტაზიის" ეს ნომერი, მოიმარჯვეთ ბანქოს ქაღალდები და სთხოვეთ მას, რომ ჩაიფიქროს ნებისმიერი "კარტი" (6, 7, 8, 9, 10, ვალეტი — 11, დამა — 12, კაროლი — 13, ტუზი — 14). თქვენი "მაყურებელი" გეუბნებათ მხოლოდ ჩაფიქრებული ქაღალდის "მასტს" (ჯვარი, ყვავი, გული თუ აგური) და თქვენის მითითებით ატარებს შემდეგ გამოთვლებს, ჩაფიქრებულ ქაღალდს (მაგ. 10-ს) უნდა გამოაკლოს 1, მიღებული რიცხვი გაამრავლოს 2-ზე, ამ ნამრავლს ისევ გამოაკლოს 1, მიღებულ რიცხვს მიუმატოს ჩაფიქრებული რიცხვი (მაგ. 10) და ეს საბოლოო შედეგი გითხრათ თქვენ... თქვენ კი, ნათქვამ რიცხვს მიუმატებთ 3-ს, გაყოფთ 3-ზე და ასე ამოიცნობთ ჩამფიქრებლის ჩაფიქრებულ "კარტს"

## გასული ნომრის პასუხები

**(იმპროვიზირებული კროსვორდი)**

**თარაზულად:** 3. კონსტანტინე; 7. ალი; 9. მაკე; 11. აკუა; 14. ბოგოტა; 15. ნოე; 16. კოლო; 17. ხპენსერი; 19. ხოია; 20. რუკა; 22. ალფა; 23. ბოლონია; 27. არმაზი; 28. ალეპო; 30. ნოემბერი; 34. პირიმზე; 35. სინატრა; 36. აუერშტადტი; 39. ლატი; 40. ალიგატორი; 41. აბაი; 43. გოძიაშვილი; 49. ადმირალი; 51. პალეონტოლოგია; 52. ნიქოზია: 56. სამება; 57. პრემია; 62. ბერინგი; 63. ოხტრავა; 64. გირჩა; 66. რობაი; 67. არაბიკა; 71. ინტრიგანი; 73. ტროა; 75. ეპარქია; 77. გვირილა; 78. ოდა; 79. გან; 80. ვიხ; 85. ლიფტი; 86. კრატერი; 88. რომეო; 89. პატენტი; 90. არტური; 92. ეკრანი; 94. ამხანაგი; 97. ტრენტინიანი; 98. ბოტიჩელი; 100. ვატიკანი; 101. კვადრატი; 102. ძმა; 103. ყაენი; 104. კასტრაცია; 105. მისიონერი.

**შვეულად:** 1. როდოსი; 2. ტოტო; 3. კახი; 4. სენტენცია; 5. ნერხე; 6. ნასა; 7. არარატი; 8. ინხაიდი; 9. მერიდიანი; 10. ეკალი; 11. ალაპი; 12. კოლომბო; 13. აზავერი; 18. პანასონიკი; 21. კაპრი; 24. ლინზა; 25. ნატო; 26. ნიუ; 29. ერია; 31. ბორში; 32. რაცია; 33. ბრა; 37. ელია; 38. შტამპი; 42. ბატი; 44. ერბო; 45. აპასიონატა; 46. კლიმატოლოგია; 47. მონბლანი; 48. კობე; 50. ლუი; 52. ნუბია; 53. ქარვა; 54. ზანგი; 55. აფიშა; 58. რაგბი; 59. მერია; 60. ადანი; 61. კარტრიჯი; 65. იაგო; 68. რეპი; 69. ბარგი; 70. კლინტონი; 72. ნედლეული; 74. ავსტრალია; 75. ერგი; 76. ქაფიანიძე; 80. ვრემია; 81. კორდოვა; 82. სახტიკი; 83. პეპელა; 84. ხტატორი; 85. ლეკი; 87. რქა; 91. იმედა; 92. ენოტი; 93. რახ; 94. არვე; 95. ნიკე; 96. გენი; 99. პაი.

**("ღრე")**

1. ტრანშეა; 2. გლისერი; 3. რეესტრი; 4. პროფილი: 5. ანანასი; 6. სფინქსი;

**("ზიგზაგები")**

**მარცხნიდან ქვემოთ:** 1. ომი; 2. მარხი; 3. მაახი; 4. პანტა; 5. ბელტი; 6. პორტი; 7. კოალა; 8. აბაკა; 9. ავარა; 10. ოხერი; 11. ოპიზა; 12. ომარი; 13. აია.

**მარცხნიდან ზემოთ:** 3. მაო; 4. პარმა; 5. ბაასი; 6. პენსი; 7. კოლტი; 8. აორტა; 9. აბატი; 10. ოვალი; 11. ოსაკა; 12. ოპერა; 13. ამირა; 14. ნიაზი; 15. არა.

**(1-ლი ვ.)**

**თარაზულად:** 1. ყარაღები; 5. ტრიმურტი; 11. რაფაელი; 12. კონაკრი; 13. ნალია; 14. ყლუპი; 15. იორლა; 16. კასაცია; 20. მაიამი; 22. ლავიწი; 24. ლანცეტა; 25. კრუზი; 26. ყარსი; 28. კრაზანა; 30. ეკვანი; 32. ფლირტი; 35. მზე; 38. ბატიბუტი; 42. კრემაცია; 47. ანილინი; 51. მენიუ; 52. ლამფა; 54. სალტე; 56. კამიუ; 57. გერინგი; 58. პეტარდა; 59. ბურდა; 60. ზნედაცემული; 61. სანაი; 62. ცხოველი; 63. ნარინჯი; 64. ნიავი; 65. იაგო; 66. ნაძვი; 67. დოსიე; 68. პინოქიო; 72. აპელაცია; 73. სინონიმი; 74. ანი; 75. თრიაქი; 77. ლენინი; 79. პედანტი; 80. წუწკი; 81. ვისლა; 83. ნასტასე; 85. როსინი; 87. ტრესტი; 89. ათინათი; 93. ცოტნე; 95. მარიო; 96. ზესხი; 97. ნიაგარა; 98. მარტენი; 99. იმიტაცია; 100. ლიმასოლი.

**შვეულად:** 1. ყარაყუმი; 2. ჩაფხუტი; 3. ლვედი; 4. ბრინზა; 6. როკაპი; 7. მენჯი; 8. რეკორდი; 9. ირიგაცია; 10. ჰალვა; 16. კილიკია; 17. სანდალი; 18. ცვედანი; 19. ალაყაფი; 21. ალუჩა; 23. ვერძი; 27. სენსაცია; 29. ლიმუზინი; 31. ვოლპონე; 33. რომანსი; 34. ანდერძი; 35. მუტაცია; 36. ელბერდი; 37. იმპულსი; 38. ბაგინეთი; 39. ტიბაანი; 40. ბილწი; 41. ტვისტი; 43. რეპინი; 44. მატლი; 45. ცურტავი; 46. ანატომია; 48. ნაბიჯი; 49. ლირფი; 50. ნიანგი; 53. ბანჯო; 55. ეშერა; 56. კორბო; 68. პიპინია; 69. ნუდისტი; 70. ქანდარა; 71. ოლივეტი; 76. ანწლი; 78. ნოსტე; 82. პროცენტი; 84. ჩიგორინი; 86. სატრაპი; 88. სარაევო; 90. თეზამი; 91. ნავთი; 92. თამბი; 94. ელადა; 95. მურწა

**(სკანვორდი)**

**თარაზულად:** აჯიკა-ატამი-ზანტისირ-კახიო-აყიყი-დუნაი;

**შვეულად:** განა-კია-ტრასა-ყრუ-ჭიქა-ნისლი-მეტრი-ყუა-ფაზისი-ოდინი.

**(მაგიური ლოგიკა)**

1. მომი; 2. მეფე; 3. ტიტა; 4. ჰებე; 5. ლოტო; 6. რერო; 7. ლოქო; 8. ლალი; 9. სორო; 10. გოგი; 11. ვირი; 12. ფარა — მეტეოროლოგია; 13. დოდე; 14. ფიჯი; 15. დოდე; 16. გუგა; 17. ვოვა; 18. კალია; 19. რური; 20. ჯოტო; 21. ვოვა; 22. აარე; 23. ნუნა; 24. ოინი — დიდგვაროვანი; 25. კუკი; 26. ვავა; 27. აიდა; 28. ლელი; 29. ლირი; 30. ფიფა; 31. ლითი; 32. კაკო; 33. ბაგა; 34. ციცა; 35. ჯიში; 36. საშა — კვალიფიკაცია; 37. კიკო; 38. ლილო; 39. გიჟი; 40. მამი; 41. ჯაფა; 42. ტიტო; 43. მონო; 44. ლელა; 45. ტოგო; 46. გოგა; 47. კირია; 48. აზია — კლიმატოლოგია.

**(პოეზია)**

მე ის მთვრალი ვარ, მხრებზე ნაღველს ქურქად რომ ისხამს
და სატრფოს ხილვას რომ ავედრებს წყვდიადს თუ სისხამს
ღვინოს, რომელშიც შემეძლება შვების ძიება
მე საიქიოს მერიქიფე თუ ჩამომისხამს.

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ო | მ | ე | ტ | ა | ■ | ა | მ | ფ | ო | რ | ა |
| ო | ■ | ო | ■ | რ | ა | ბ | ბ | ი | ■ | დ | ■ | ვ |
| რ | უ | რ | უ | ა | ■ | ი | ■ | ს | ტ | ე | ლ | ა |
| ი | ■ | ზ | ■ | პ | ა | რ | კ | ი | ■ | ს | ■ | რ |
| დ | რ | ე | ლ | ი | ■ | ჩ | ■ | ა | ლ | ა | ფ | ი |
| ა | ი | ■ | უ | ■ | ■ | ა | ■ | ■ | ე | ■ | რ | ა |
| ■ | ს | ა | რ | მ | ა | ■ | რ | ი | ქ | უ | ა | ■ |
| ა | ა | ■ | ჯ | ■ | ■ | ნ | ■ | ■ | ს | ■ | ზ | მ |
| ს | ი | რ | ი | ა | ■ | ა | ■ | რ | ო | ბ | ა | ი |
| ე | ■ | ა | ■ | უ | ი | რ | მ | ა | ■ | ო | ■ | პ |
| ნ | ე | ზ | ვ | ი | ■ | ჯ | ■ | ს | ა | რ | ც | ი |
| ტ | ■ | ვ | ■ | კ | რ | ი | ვ | ე | ■ | ღ | ■ | ნ |
| ა | რ | ი | ც | ი | ა | ■ | ბ | ა | რ | ო | კ | ო |

# საკროსვორდო სამყაროს მერიდიანებზე



## ამერიკული კროსვორდი



*კითხვებს შორის ტიხარია დასმული; კითხვებში სიტყვების განლაგების თანამიმდევრობა დაცულია სიტყვათა შორის ზღვარი თქვენ თვითონ მოძებნეთ*

თარაზულად:

1. „ლირიკიდან" წარმოებული ეპითეტი / სპარსულენოვანი პოეტი/ ვულკანური მასა 2. ეპოქა / ეკლესიის დამოუკიდებლობა / „ბიწილოს" ნახევარი 3. რა აქლია მარკო ბასტენს? / ქიდაობის ილეთი/ „დიდოსტატის მარჯვენას" პერსონაჟი/ სიგრძის ფრანგული საზომი 4. მაერი / ჭრილობა / კამერუნის დედაქალაქი / რამ გააბრუა ყმაწვილი? 5. გამოუწვავი აგური / კინემატოგრაფი/ არმსტრონგი/ ძუძუ... 6. ნაცრიანი ნაკვერჩხალი / ქართული კინოფილმი / საერო წოდება ძვ. საქართველოში 7. კოლხეთის ძველი სახელი /რომის იმპერატორთა ტიტული/ წყლის ჭურჭელი / ცხოველური ცხიმი 8. ესპანელი პოეტი / ცრუპენტელა ცხოველი / სოხუმელი პოეტი 9. მეზღვაური ბიჭი / გამარჯვების ქალღმერთი / ლიტერატურული მიმდინარეობა 10. კატა / ქართული გაზეთი /ჭიდაობის სახეობა / სამოსი 11. ომის ღმერთი / ქართული თამაში / მოქრთამვა 12. დიდი ბუ /პატარა თაიგული / ღრეობა 13. რომაელთა სამოსი / ინდოელთა ღვთაება / აშშ-ს შტატი 14. ჰუნების წინამძღოლი / ადამიანთა ერთგვარი ტიპი/ ჯოხი / ყვავილი 15. უმდაბლესი მცენარე / საფრანგეთის ქალაქი . გემის ოთახი/ ციმბირის მდინარე 16. კათოლიკე მღვდელი /თურქული ქუდი/ თევზი /ცხენი 17. იტალიელი ფაშისტი /ამერიკელი ჩოგბურთელი/ უმდაბლესი არსება 18. კავკასიელი /ინგლისელი დრამატურგი /ლექსის ნაწილი / 19. აშშ-ს შტატი /დროშა/ აზიის სახელმწიფო.

შვეულად: 1. ტოლსტოი, იაშინი, ლეშჩენკო /რძის ცხიმი/ ადმინისტრ. ტერიტორიული ერთეული ძველად/ „ზღვაოსანთა კუნძულები" 2. ნარნარი ფრენა /ფრანგ მეფეთა დინასტია /ტრანსპორტი 3. მევახშე /წარმოდგენა /მავრის „მეტოქე" 4. ვახტანგ VI- ის ძმა/მუშაობის ერთეული / ყაზბეგის რ-ნის სოფელი/ საპრიზო თამაში 5. მომზადების დონე /მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. მხარე 6. რკინის ბაგირი /სპარსელი პოეტი / ამერიკელი კინომსახიობი 7. მეფე /მოლების „შეფი" /გრაფიკული ნიშანი/ პოლონეთის პოლიტ. მოღვაწე 8. ირაკლი / არეკლილი ხმა/ აშშ-ს მდინარე 9. ლექსის ერთგვარი ნაწილი /რუმინეთის ფული /დაავადება 10. ბაშკირეთის დედაქალაქი /თბილისში ჩატარებული „ასამბლეა"/ არგენტინელი ფეხბურთელი / თელავის რ-ნის სოფელი 11. /მექსიკელი ქალი /ტრიგონომეტრიული ცნება/ ერთზე მეტი 12. არეული საკვები /მაიმუნი /ხარაგოულის რ-ნის სოფელი 13. ბესინჯერი /სალბუნი/ სახე 14. იორდანიის ქალაქი / თუთიყუში/ მეკვლე ძაღლი/ მოძრაობის დაწყების ბრძანება 15. „მინდის" ნახევარი/ სამოსი/ ჩაქუჩი/ ასპარეზობის ნაწილი 16. „ოსურის" ანტიპოდი (მეგრ.)/ საბჭოთა ფოტოაპარატი /პორთოსის მსახური /ხმის ბუმერანგი 17. შეიარაღება /ძრავა 18. ტიბრის მარცხენა შენაკადი / გერმანიის მდინარე/ კომში / ძველ თბილისელთა საყვარელი მუს. ინსტრუმენტი 19. ინგლისელი მწერალი / მცირე აზიის ბერძნული სახელი / გაერთიანება

## გერმანული კროსვორდი



*ყოველი სიტყვის შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია ასოების რაოდენობა; სიტყვათა განსამარტ კითხვებს შორის დასმულია ტირეები;*

თარაზულად:

1. პირველი ქართველი ბროკერი ლიტერატურაში (13) - „ბაყაყური" ცურვა (5) 3. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი (7) - ავთანდილის თანამდებობა (9) 4. მე - ლათინურად (3) - სიმკვრივის სახეობა (5) - ამირანის ძმა (5) 5. უმდურობის სიმბოლო (7) - გულანშაროელი ვაჭარი (5) 6. რუსული ყოველკვირეული გაზეთი (7) - ქიმიური ცნება (7) - ყაზბეგის რ-ნის სოფელი (3) 7. ფრანგი ჩოგბურთელი (3) - დრამატურგიული ქმნილება (7) - „მირჯულებულის" როლის შემსრულებელი (4) 8. გამყოლი (7) - ჩოლა-პუქტის პროვინციის ქალაქი კორეაში (3) - კაცობრიობის ყველაზე იდიოტური ჩვევა (3) 9. ყველაზე ცნობილი მეწისქვილე (5) - ქართული მწერლობის ერთ-ერთი პირველი შეყვარებული (6) 10. აშშ-ს შტატი (7) - მოზარდი კომუნისტების „სამჭედლო" კურორტი (6) 11. ბულგარული სიგარეტი (5) - სამეურნეო მუშაკი (3) 12. ინდიელთა „ნაკრძალი" (10) - ინგლისელი ფიზიკოსი (8) 13. არაამქვეყნიური (8) - პარლამენტის შეკრება (5) 14. ძალად ძალლი (5) - მკვრივი, შავი, მბზინავი მასალა (7) 15. სიმინდის კაბეის რაოდენობა (3) - იტალიის ტბა (4) - პროცენტიანი ვალის შემადგენელი ნაწილი (6) - ძველი პურის შემადგენელი ნაწილი (3) 16. სადემონსტრაციო სივრცე (7) 17. სახიჩარი (8) - ლურჯი საღებავი (6) 18. სიო (5) - ხმელი ბალახი (4) 19. ბალახის თვისება (6) - სათბურის ნერგი (6)

შვეულად:

1. თანამედროვე სტილი (7) - შნო (8) 2. XVIII ს. ინგლისელი პოეტი (4) - საცხენოსნო თამაში (6) 3. ხროვა (4) - ბერად აღკვეცილი ქალი (8) 4. პოეტი -მუსიკოსი ძველად ინგლის- საფრანგეთში (10) - წიქარა (4) 5. სიძველის კვლევა (10) 6. რუსი კინორეჟისორი (9) - თევის გროვა (5) 7. აუხდენელი ოცნება (6) - რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა (9) 8. სასახლე (3) - ვირის „სტიმული" (3) - ერთ-ერთი იოსელიანი (4) 9. რუსი ობერშტურმანფიურერი (8) - რეპატრიაცია (4) 10. „კარმენის" ერთ-ერთი მშობელი (4) - საქართველოს ქედი (8) 11. უცნობი (4) - რაჭის ტოკიო თუნდაც პარიზი (3) - ქალაქის ნაწილი (5) 12. ძველბერძენი მწერალი - ისტორიკოსი (8) - საფრანგეთის მხარე (8) 13. ქურთი (6) - სარეცხის ფხვნილი (4) 14. ბერძნული წინსართი (3) - საბჭოთა ავტომობილი (4) - სამეგრელოს სოფელი (6) 15. პოლონელი ქართველოლოგი (6) - სისველე (5) 16. ლითონის სარკინიგზო ფორმა (5) - მექსიკის ქალაქი (8) - საქართველოს ქალაქი (4) 17. იაპონური ჭიდაობა (4) 18. მთის გზა (10) - აფრიკის სახელმწიფო (8) 19. ოთხნი, რომელთაც 6 მაისს 10 წელი უსრულდებათ (3)

## ინგლისური კროსვორდი



მოცემულია კროსვორდში ჩაშიფრული ინგლისური სიტყვების ქართული თარგმანი; გთხოვთ შეასრულოთ უკუთარგმანი და შეავსოთ კროსვორდი

თარაზულად: 1. ჩრდილოეთი - წყალი; 2. ერთი; 3. პატარა - დგომა (ზმნა); 4. ჭამა (ზმნა); 5. (იგი) აძლევს - შიგნით; 6. გული; 7. ნამდვილი - სიმღერა; 8. დასასრული; 9. კლდოვანი - უფროსი; 10. ეპოქა; 11. კაბა - ხანძრები.

შვეულად: 1. ცხვირები - დაღლილი; 2. ჰაერი; 3. მზადმყოფი - ბიძია; 4. იგი (ქალბატონი); 5. ხვრელი - თვალები; 6. კვლავ; 7. დასავლეთი - ყრუ; 8. მისი (უსულო საგნის შესახებ); 9. მატარებელი - ბრძანება (ზმნა); 10. ათი; 11. რადიო - გოგონები.

## კოსმოპოლიტური ...



ბერძნულად - **kosmopolites** - მსოფლიო მოქალაქე, ანუ ის, ვინც საკუთარ თავს არცერთ ერს და ქვეყანას არ აკუთვნებს

პასუხები ჩაწერეთ ისრით მონიშნული უჯრიდან

1. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 2. ემოციის ერთ-ერთი უკიდურესი გამოვლინება; 3. №2- თან უშუალო „კავშირში" მყოფი ხე; 4. ნავთქურის აუცილებელი ატრიბუტი; 5. ზღვრული ნორმა; 6. იტალიის კურორტი; 7. დამამთავრებელი ეტაპი; 8. მკვლელი; 9. სახის ნაკვთებით ემოციის გამოხატვა; 10. „საწყობის" სახეობა; 11. ბილის მეუღლე; 12. საქართველოს ერთ-ერთი სახელშეცვლილი რაიცენტრი; 13. ქართული კინოფილმი; 14. მტანჯველი; 15. ბრაზილიის ქალაქი; 16. ქვედების გარეგნული იერი; 17. „ძალა" - ბერძნულად; 18. ბულალტრული ალრიცხვის მარცხენა მხარე.

## ესპანური კროსვორდი



... სულაც არ არის აუცილებელი ესპანური ენის ცოდნა, რადგან ამ კროსვორდს ლოგიკა შეგაავსებინებთ და არა სერვანტესის ენა... თქვენი ვალია, ანბანზე დალაგებული სიტყვები ჩარჩოში განალაგოთ... ბასტა!

abela, acolchar, acunar, al, andito, antipatia, apa, arenda, asi, carpa, cuatro, co, di, el, emulacion, en, erar, ge, idilio, ira, la, loica, muneira, nanacate, neocor, ni, no, noche, neacunto, olleta, placer, polola, rape, romana, republica, su, tan, tapalo, tu, uno.

# საკროსვორდო სამყაროს მონსტრი




მოცემულ ექვსკუთხედებში ჩაწერეთ ექვსასოიანი სიტყვები (საათის ისრის მიმართულებით, მონიშნული ხაზიდან)

1. გამყოფი... ზოგადად; 2. კამათი... ფრანგ. სიტყვა, მხ. რიცხვი; 3. კრაეი... მგლის ნერვების აშშლელი; 4. ზეთი... სურნელების მფრქვეველი; 5. პურ-მარილი... ოღონდ მეფეთა; 6. „ჭიდაობა"... ოღონდ იაპონური; 7. გველისმჭამელი... პოემის გმირი; 8. ეტალონი... ქართული სინონიმი; 9. არეულობა... თუნდაც გნიასი; 10. ინდიელთა ტომს პლუს ნოტა... მიიღება აშშ-ს ქალაქი; 11. 1810-1856... გერმანელი კომპოზიტორი; 12. ტერიტორიულ - ადმინისტრაციული ერთეული.

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 1. ტონგას დედაქალაქი; 8. მარცვლეულის წმინდა ფხვნილი; 13. შვინდის ჩირი; 18. ილიას ლექსის პერსონაჟი ხარი; 20. დიდი მაიმუნი; 22. მექსიკელი კინოვარსკვლავი; 23. ფრანგი კომპოზიტორი (იწერება დეფისით); 24. ალბანეთის დედაქალაქი; 26. რაოდენობის გამომხატველი ცნება; 28. ციმბირის მდინარე; 30. აფრიკის ცნობილი ნაკრძალი; 32. კომედიის მფარველი მუზა; 33. კავშირი; 35. დიდი ზომის ფრინველი; 36. ნახვამდის!; 37. თოკი; 38. წყლის ჭურჭელი; 39. სოფელი ლაგოდეხის რ-ნში; 40. 50-იანი წლების ცნობილი რუსი ფეხბურთელი; 41. ნახევარკუნძული კპოკაიდოზე; 43. (ბატონი) კიკნაძე, მეამბოხე მღვდელი, 1832 წ.; 44. 4,444 კმ; 45. მთათა სისტემა აზიაში; 47. ქართველი თეატრალური მხატვარი; 49. ათის კვადრატი; 50. ტანსაცმლის მოდელი; 52. თვალის შემადგენელი ნაწილის (ბროლის) არარსებობა; 53. ქალაქი ეთიოპიაში; 54. ძვირფასი ქვა; 58. დაკოდილი ცხენი; 60. თანაბარი შედეგი; 61. დედლების „ბატონი"; 63. ხრიკი; 65. ხელოვნური ნეირონი; 68. ოლიფატური რიგის ორგანული ნაერთი; 70. სოფელი ცხინვალის რ-ნში; 71. საკუთარი უფლებების დაცვა (მაგ: - ქალებში); 75. მომწამლავი გაზი; 76. ენგურის მარჯვენა შენაკადი; 77. ყალმუხეთის დედაქალაქი; 78. რუსი ფეხბურთელი; 79. აზიის ქვეყანა; 81. ბედი; 82. ნიდერლანდის ქალაქი; 84. ლიტერატურის დარგი; 86. „კროს-ფანტაზიის" რედაქტორი; 90. ციხე-სიმაგრის წინ გამოწეული ნაწილი; 93. რბილი - ძვ.ქართულად; 94. დედამიწის სიცივის პოლუსი? 96. კინო ან ფოტო მასალის ეკრანზე დაწებება; 98. ფართობის ერთეული; 99. გამჭრიახი ანუ...; 102. სიტყვათა შემოკლებითი ჩანაწერი; 103. შრე; 105. გარეკანი; 107. ედგარ პოს მოთხრობა; 110. კომში; 111. ბიჭი-მეგრულად; 112. ალანი ანუ... 113. მანძილი გზის ზედაპირსა და ავტომობილის ძარას შორის; 114. მერკური - ძვ.ქართულად; 116. მაუგლის ერთ-ერთი მეგობარი; 118. თევზის სახეობა; 121. თვითმფრინავების სადგომი; 122. ცენტრ. ამერიკის სახელმწიფო; 127. წვერის სალესავი; 129. „ბაცას" პირველი ნახევარი; 130. საბერძნეთის მთა; 131. „ფიქრები" მომაკვდავზე; 132. შეძახილი კორიდაზე; 134. რიცხვითი სახელი; 135. კამერუნელი ფეხბურთელი; 136. სამშენებლო მასალა; 138. წარმართთა სალოცავი; 139. იტალიის მხარე; 141. მუსიკალური ინსტრუმენტი; 143. რაიმე ორგანიზაციის წარმომადგენლობა; 145. უდაბნოს სავანე; 150. ქუთაისი (ძველად); 151. ქიმიური ელემენტი; 152. XIX ს. მიმდინარეობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში; 156. მცირე ხნის წინ არსებული ტელეკომპანია; 158. ორთოგრაფიული ნიშანი; 159. უმოქმედო ანუ...; 160. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; 161. კიპლინგის ზღაპრის გმირი; 162. საქართველოს რაიონული ცენტრი; 165. ესპანეთის ისტორიული მხარე; 166. მოლიერის კომედიების გმირი; 171. ვოლგის მარცხენა შენაკადი; 172. ძროხა, ცხვარი, თხა - საერთო ნიშანი; 174. ბერძ. ხომალდი; 175. აღმოსავლური ზღაპრების ფერია; 177. მცირე ფასის მქონე; 178. დიდი გველი; 179. ამერიკის ქალაქი (იწერება დეფისით); 180. „გამზრდელის" პერსონაჟი; 181. (ქალბატონი) გურგულია; 182. გამხმარი ცომის საკვები; 185. კინოწარწერა; 187. აირი; 189. ჯარის რჩეული ნაწილი; 190. მაღალსართულიანი შენობის ატრიბუტი; 192. სად უნდა იყოს ჭირი და ქატო; 193. უნიკალური ჯიშის პატარა თევზი; 194. აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი; 196. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 199. ზნედაცემული პიროვნება; 202. გაზაფხულის ხილი; 205. აფრიკის სახელმწიფო; 207. ინდოეთის ოკეანის ერთ-ერთი სრუტე; 209. პატარა ქალაქი ტოკიოს მახლობლად; 211. პრეზიდენტად კურთხევა; 214. ირანის ფული; 215. აშშ-ს ქალაქი; 216. ქართველი მწერალი და თეატრალური მოღვაწე; 217. ნიდერლანდის პორტი; 218. იტალიის ქალაქი; 219. ფრანგი დრამატურგი; 220. „ოტელოს" პერსონაჟი; 221. იტალიელი კინომსახიობი.

**ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ:** 1. მონატრება; 2. მოსახლეობის თავმოყრა დიდ ქალაქებში; 3. 16 დრახმა ან 28,350 გრამი; 4. წერის უნარის დაქვეითება ან დაკარგვა; 5. სრუტე აპენინისა და ბალკანეთის ნ - კ შორის; 6. კომპიუტერული ცნება; 7. ონავარი; 9. (ბატონი) კოლუმბი; 10. „გრაფი მონტე-კრისტოში" აღწერილი ციხე-სიმაგრე; 11. უჯრედიდან გამოყოფილი წებოვანი და ლიპი სითხე; 12. ნიადაგის შემადგენელი ნაწილი; 13. მწვანილი; 14. (ბატონები) ბეარზოტი და შიფო; 15. „ობოლი" ქათამი; 16. გრძელი და მოსაწყენი რეპლიკა; 17. თავისი საქმის კარგი მცოდნე; 18. გველებთან მებრძოლი მამა; 19. რუსი პოეტი; 21. კედლების შესაკრავი ჯოხი; 23. აზიის ქვეყანა; 24. წონის ერთეული; 25. არომატული რიგის ორგანული ნაერთი; 27. ძლიერი სურვილი; 29. ინდუქციის ძალის საზომი ხელსაწყო; 31. იტალიელი ფიზიკოსი; 34. ბერძნული ანბანის ასო; 42. თურქეთის ქალაქი; 45. სასროლეთი; 46. ზევსის მეტსახელი; 48. დაცინვა (ჟარგონი); 50. იგივეა, რაც შუქწერა; 51. ავადმყოფობა; 55. ნარნარი ფრენა; 56. „თოვლის დედოფლის" პერსონაჟი; 57. ალპიური ყვავილი; 59. „ჩვენი დროის გმირის" პერსონაჟი ქალი; 62. ავანგარდული მოდის ასამბლეა; 64. კენიის დედაქალაქი; 66. ბულგარული ლუდი; 67. ჩანაფიქრი; 69. სათბური; 72. მთლიანად ანუ...; 73. ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი; 74. რაიმე ქმედების მონაკვეთი; 75. ტკბობა ანუ... 80. ძუძუმწოვარა ცხოველი; 81. ტრიგონომეტრიული ცნება; 82. ინგლისელი ბუნებისმეტყველი; 83. ქალაქი საფრანგეთში; 85. ყაზახი მწერალი; 87. გათლილი ძელი; 88. ბრაჰმანიზმის ღვთაება; 89. ინდოელთა და ჩინელთა ღვთაებრივი მცენარე; 90. პარიზის ისტორიული ციხე-სიმაგრე; 91. საოპერო სიმღერა; 92. თავაშვებული ღრეობა; 95. ხელოვნური რწყვა; 97. სხეულის მოძრაობის ერთ-ერთი თვისება (ფიზიკურად); 100. ქართველი მხატვარი ქალი; 101. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 104. ჯუჯა კამეჩი; 105. ქართველ მეფეთა შორის ყველაზე პოპულარული სახელი; 106. ვოლგოგრადის საფეხბურთო კლუბი; 108. ამა თუ იმ ენის სპეციფიური გამოთქმა; 109. ხე; 113. საფრანგეთის ქალაქი; 115. გეომეტრიული ფიგურა; 117. ერთი-გერმანულად? 119. მფრინავი; 120. თანაბარი განლაგება ცენტრის მიმართ; 123. საკუთარ თავთან საუბარი (სცენაზე); 124. ვინ იყო შაპ-აბასი დინასტიით?; 125. ბოლშევიკთა მიერ გატარებული რეპრესიები სოფლად; 126. მომავლის დღე; 128. (ქალბატონი) პუგაჩოვა; 133. ვულკანი ჩილეში; 137. უკიდურესი მოთხოვნა; 140. ნიდერლანდის ქალაქი; 142. ირეალური, ზმანებრივი მოვლენა; 144. (ქალბატონები) ელიავა და მიქაძე; 146. დაპირისპირება; 147. ორენოვანი; 148. ლათ. ამერიკის სუბტროპიკული სტეპი; 149. გერმანიის ქალაქი; 153. იაზონის ხომალდი; 154. რუსეთის ქალაქი; 155. სტალინის დროინდელი ავტომობილი; 156. საოჯახო ჭურჭელი; 157. ქართული ანბანის ასო; 163. იაპონიის ერთ-ერთი პრეფექტურა; 164. ბოლის ერთჯერადი ჩაყლაპვა; 167. გერმანელი მწერალი; 168. დეკორატიული მცენარე; 169. განქიქება; 170. სახესხვაობა; 173. არეულობა; 175. ჟიულ ვერნის რომანის გმირი; 176. ემელიან პუგაჩოვის თანამებრძოლი; 183. ერევნის ავტომობილი; 184. ნაბიჯით... 186. ძვლოვანი გამონაზარდი; 187. ცენტრ. ამერიკის სახელმწიფო; 188. ჩინეთის მდინარე; 190. ეკვადორის დედაქალაქი: 191. ნავთობპროდუქტების შესანახი ავზი; 195. მსახიობის საქმე; 197. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი; 198. სანთებელების ფირმა; 200. საჰაერო ანუ... 201. ინდოეთ-პაკისტანის მდინარე; 202. ბავშვების „დამშინებელი"; 203. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 204. ფრანგ მეფეთა პოპულარული სახელი; 206. კვების პროდუქტი; 208. მთაგრეხილი ტროის მახლობლად; 210. საბჭოთა თვითმფრინავების სერია; 212. (ქალბატონი) კალანდაძე; 214. გერმანელი ფიზიკოსი.

რედაქტორი
**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲔᲚᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
ფალიაშვილის ქუჩა №85,
ოთახი 301, ტელ.: 29-46-02
შ.პ.ს. „ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ"
რეგისტრირებულია ვაკის რაიონის სასამართლოში, 22.01.1996 წ.
№ 5/4-348.